

განმარტებითი ბარათი

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის პროცედურების დახვეწა და ზედმეტი ადმინისტრაციული მოქმედებების შეზღუდვა. საქართველოში ბოლო წლებში გატარებული ეკონომიკურ-სამართლებრივი და ინსტიტუციური რეფორმების შედეგად მოხდა მაკონტროლებელ ორგანოთა საქმიანობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზის რევიზია, ამომწურავად განისაზღვრა მათი კომპეტენცია და საქმიანობის წესი, გაიმიჯნა მაკონტროლებელ ორგანოთა უფლებამოსილებები და აღმოიფხვრა მანამდე არსებული მანკიერი კორუფციული პრაქტიკა. შესაბამისად, მაკონტროლებელი ორგანოების მიერ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაცია აუცილებლობას არ წარმოადგენს და პირიქით, იწვევს ადმინისტრაციული პროცედურების, ადამიანური და ტექნიკური რესურსების არააუცილებელ დანახარჯს.

ა.ბ.) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის პროცესების ეფექტურობის გაზრდა, დახვეწა და ზედმეტი ადმინისტრაციული ჩარევისგან გათავისუფლება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს: „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონიდან ამოღებულია ის დებულებები, რომლებიც ეხება მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში დაიზოგება ადმინისტრაციული ორგანოების მატერიალური რესურსები.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის შესაბამის ღირებულებებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი მურთაზ ზოდელავა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი მურთაზ ზოდელავა.